## ხელშეკრულება №16

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

8 აგვისტო 2011 წ.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის "№84-ე საშუალო სკოლა" (შემდგომში- "შემსყიდველი") მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი ყიფსიძის** სახით და მეორეს მხრივ, შპს **„ბარსა ჯგუფი"** (შემდგომში- "მიმწოდებელი")მისი დირექტორი **მუხრან მაისურაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია №84 საჯარო სკოლის მიე **სკოლის ბეჭდის შესყიდვა** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკება.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია **სკოლის ბეჭდი**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზრვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 31ლარი დ.დ.გ-ის ან სასაქონლო ზედნადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 4 დღის ვადაში "შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, წურწუმიას ქ. №17.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის" (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 "მიმწოდებელთან" ანგარისსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

- (ლარებში).

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 4 დღისა

7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი-თბილისი.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

"შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

"შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

"მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

- მიაწოდოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება შესაბამისად სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 16 აგვისტომდე

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ “შემსყიდველი” წუნდების მიზეზების მითითებით წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობებს “მიმწოდებელს”.

14.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება “მიმწოდებელს” საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| **“შემსყიდველი”** | **“მიმწოდებელი”** |
| ს.ს.ი.პ თბილისის №84-ე საჯარო სკოლა | შპს „ბარსა ჯგუფი“ |
| მისამართი: თბილისი,წურწუმიასქ.№17. | მის: ქ.თბილისის ნიკო ნიკოლაძის №4 |
| საბანკო რეკვიზიტებია: | საბანკო რეკვიზიტებია: |
| ს/ს ლიბერთი ბანკი, ისანი 4 | ს/ს ლიბერთი ბანკი |
| ბ. LBRTGE22 | ბ.კ LBRTGE22 |
| ა.ა 34084113677 | ა.ა **GE31LB0113126322364000** |
| ს.კ 206031667 | ს.კ 206271595 |
| ირაკლი ყიფშიძე | მუხრან მაისურაძე |

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

შპს ხელმძღვანელი:

LEPL TBILISI №84 PUBLIC SCHOOL
206031667
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

პოლიგრაფია

ინვოისი **ბარსა** ADVERTISING INVOICE

თბილისი, ნ. ნიკოლაძის ქ. №4
ტელ.: (995 32) 98 88 01, 98 88 12

4. N. NIKOLADZE STR. TBILISI, GEORGIA
TEL.: (995 32) 98 88 01, 98 88 12

2011 წლის 8 აგვისტო

| | |
|---|---|
| დამკვეთი: COMPANY NAME | სსიპ №84 საჯარო სკოლა |
| საიდენტიფიკაციო კოდი: ID. CODE | 206031667 |
| მისამართი / ADDRESS: | თბილისი, წურწუმიასქ №17 |
| ტელ.№ / PHONE №: | 277 90 80 |

| დასახელება / DESCRIPTION | რაოდენობა QUANTITY | საცალო ფასი UNIT PRICE | ჯამი TOTAL |
|---|---|---|---|
| ბეჭდის დამზადება | 1 ცალი | 31.00 ლარი | 31.00 ლარი |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

| | |
|---|---|
| კომპანიის სახელწოდება: COMPANY NAME | შ.პ.ს."ბარსა ჯგუფი" LTD " BARSA GROUP" |
| საიდენტიფიკაციო კოდი: ID. CODE | 206271595 |
| ბანკი / BANK: | სს ბანკი „ლიბერთის" ცენტრალური ფილიალი J/S BANK "libert" CENTRAL BRANCH |
| კოდი / CODE: | LBRTGE22 |
| ანგარიშის № CCOUNT № | GE31LB0113126322364000 |

AMMOUNT IN WORDS:
თანხა სიტყვიერად
ოცდათერთმეტი ლარი

სულ/GEL 31.00 ლარი

დამკვეთი ____________________

მენეჯერი ____________________

## სასაქონლო ზედნადები № 1542

### I ნაწილი

2 | 28 | 08 | 2011

რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი

3 | შპს „ბარსა-ჯგუფი" | 206271595

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

4 | სსიპ №84 საჯარო სკოლა | 206031667

მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5 | ოპერაციის შინაარსი: მიწოდება / გადაზიდვა / დისტრიბუცია

6 | ქ. თბილისი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №4. ტელ.: 98 88 12

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

7 | თბილისი, ნუცუბიძე 14 2779080

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

8 |

სატრანსპორტო საშუალების მარკა, ნომერი

9 |

მძღოლის პირადი ნომერი

### II ნაწილი

### III ნაწილი

გამოიყენება მხოლოდ დისტრიბუციის წესით მოწოდებისას !!!

| საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი* | თანხა* | მოწოდების თარიღი საათი, წუთი | მიიღო: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა | ჩააბარა: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა | საქონლის გადაცემის საფუძველი (ზედნადები: უკან დაბრუნება) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX |
| [illegible] | ც | 1 | 31-00 | 31-00 | | | | |

10 | 31-00 ოცდათერთმეტი ლარი - 00 თეთრი

თანხა სულ (სიტყვიერად)

11 | დირექტორი: მუხრან მაისურაძე

გამყიდველი (გამგზავნი) - თანამდებობა, სახელი და გვარი

13 | [illegible]

მყიდველი (მიმღები) - თანამდებობა, სახელი და გვარი

12 | [signature]

ხელმოწერა

შტამპი (ბეჭედი)

14 | [illegible]

ხელმოწერა

შტამპი (ბეჭედი)

15 | 28 | 08 | 2011

* დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

მიღება-ჩაბარების აქტი

**8 აგვისტო 2011 წელი**

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერრნი, ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის **№84** საჯარო სკოლა (შემდგომში-“დამკვეთი) მისი დირექტორის **ირაკლი ყიფშიძე** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ბარსა ჯგუფი“**-ის (შემდგომში-“მიმწოდებელი”) მისის დირექტორის **მუხრან მაისურაძის** სახით, ვადგენთ აქტს მასზედ,რომ შესრულებულია 2011წლის 8 აგვისტო დადებული **№16** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ **სკოლის ბეჭდის შესყიდვა** 31 ლარის ღირებულებით

აქტი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით მხარეები.

დამკვეთი : მიმწოდებელი: